

# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

## ბრძანება

N627

31.08.2015წ.

სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით ზოგიერთი

საკითხის მოწესრიგების შესახებ

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

### ვბრძანებ:

1. შეიქმნას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად

გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვარლამ ხათრიძე (კომისიის თავჯდომარე) - სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე);

ბ) ჯემალ რამიშვილი - სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დისციპლინური დევნის ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების მთავარი სამმართველოს დისციპლინური დევნის მე-3 სამმართველოს (ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების) უფროსი;

გ) ირაკლი ნიკურაძე - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს (საკადრო საქმიანობის ინსპექტირება) უფროსის მოადგილე;

დ) რეზო სუჯაშვილი - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს (საინფორმაციო უზრუნველყოფისა და პროფესიული მომზადების ორგანიზების) მე-3 განყოფილების (პროფესიული მომზადების ორგანიზაციული უზრუნველყოფის) უფროსი;

ე) შორენა პეტავა - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი;

ვ) ია ალავიძე (კომისიის მდივანი) - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს (საინფორმაციო უზრუნველყოფისა და პროფესიული მომზადების ორგანიზების) მე-2 განყოფილების (პირადობის მოწმობებისა და პირადი საქმეების აღრიცხვა-რეგისტრაციის) უფროსის მოადგილე;

ზ) გიორგი ცხვედიანი - სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ადმინისტრაციის (მთავარი სამმართველო) უფროსი (მთავარი სამმართველოს უფროსი).

2. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამინისტროს

მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების მიზნით დაევალოს:

ა) სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს:

ა.ა) დაინტერესებულ პირთა განცხადებების მიღება და კომისიისათვის განსახილველად წარდგენა;

ა.ბ) კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად შესაბამისი წერილობითი პასუხის/წარდგინების მომზადება და დაინტერესებული პირისათვის (განმცხადებელი) გადაგზავნა/ჩაბარება;

ა.გ) წარდგინების ასლის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის გადაგზავნა;

ბ) კომისიას:

ბ.ა) „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურება;

ბ.ბ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტისათვის გადაგზავნა.

3.დამტკიცდეს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის

დებულება“ თანდართული რედაქციით.

4.ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

5.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი  
მღებრიშვილი

გიორგი

დანართი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური  
სტიპენდიის შესახებ“

საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო  
კომპენსაციის

დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის

შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების

შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების  
კომისიის დებულება

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის (შემდგომში-კომისია) მიზანია სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურება.

2. კომისია ხელმძღვანელობს „სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

## **მუხლი 2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა**

კომისიის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროების მიხედვით შეიძლება მოწვეულ იქნან წარმომადგენლები სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებიდან.

### **მუხლი 3. კომისიის უფლებამოსილება**

კომისია განიხილავს სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოდან წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც ადგენს/ადასტურებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტს.

### **მუხლი 4. კომისიის საქმიანობის წესი**

1. კომისია იკრიბება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

2. კომისიას ხელმძღვანელობს და მის შეხვედრებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი.

3. კომისიის თავმჯდომარე ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ დოკუმენტებს და წარმოადგენს კომისიას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

4. კომისიის შეხვედრები ტარდება კომისიის თავმჯდომარის ან მისი დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრის მოწვევით ამ დებულებით

გათვალისწინებული საკითხების განხილვის მიზნით.

5.კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავჯდომარის ხმა.

6.კომისიის შეხვედრა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

